საქმე №2/18013-15

4513393798177

www.info.court.ge

გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
კრედიტორთა კრების მოწვევის შესახებ

19 სექტემბერი, 2018 წელი ქ. თბილისი

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილმა განიხილა შ.პ.ს. "ბათუმი პლაზას" კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი,

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის წარმოებაშია გადახდისუუნარობის საქმე შ.პ.ს. "ბათუმი პლაზას" მიმართ.

შ.პ.ს. "ბათუმი პლაზას" გაკოტრების მმართველის, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმომადგენელმა, თამთა მაჭარაშვილმა განცხადებით მომართა სასამართლოს და მოითხოვა კრედიტორთა კრების მოწვევა სამეურვეო მასიდან სადავო უძრავი ქონების ამორიცხვის, მოძიების გაგრძელების ან შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

სასამართლომ განიხილა განცხადება, საქმეში არსებული მასალები, მიაჩნია, რომ მოწვეული უნდა იქნას შ.პ.ს. "ბათუმი პლაზას" კრედიტორთა კრება სამეურვეო მასიდან სადავო უძრავი ქონების ამორიცხვის, მოძიების გაგრძელების ან შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტის მიზნით.

„გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის 27-ე მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, კრედიტორთა კრების მოწვევის თაობაზე შეტყობინება უნდა გამოქვეყნდეს „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში."

სასამართლომ იხელმძღვანელა „გადახდისუუნარობის საქმეთა წარმოების შესახებ" საქართველოს კანონის მე-5, მე-7, მე-8, 25-ე, 27-ე, 30-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 284-285-ე მუხლებით,

დ ა ა დ გ ი ნ ა :

1. მოწვეული იქნას შ.პ.ს. "ბათუმი პლაზა"-ს კრედიტორთა კრება შემდეგი დღის წესრიგით:

1.1. სამეურვეო მასიდან სადავო უძრავი ქონების ამორიცხვის, მოძიების გაგრძელების ან შეწყვეტის საკითხის გადაწყვეტა.

2. კრედიტორთა კრება მოწვეული იქნას 2018 წლის 03 ოქტომბერს 12:00 საათზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის №24 სხდომათა დარბაზში (ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ №6).

3. დაევალოს შ.პ.ს. "ბათუმი პლაზას" გაკოტრების მმართველს კრედიტორებისათვის კრების ჩატარების შესახებ შეტყობინებების გაგზავნა, მასვე დაევალოს განჩინების გამოქვეყნება „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე"-ს ვებგვერდზე. განჩინება ასევე გამოქვეყნდეს სასამართლოს დაფაზე და სასამართლოს ვებგვერდზე.

4. გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესის მხარეებს განჩინებაზე შეუძლიათ კერძო საჩივრის შეტანა განჩინების გადაცემიდან ან გაცნობიდან 5 (ხუთი) დღის ვადაში.

მოსამართლე *ლაშა ქოჩიაშვილი*

LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA

Digitally signed by LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA
DN: cn=LEPL LEGISLATIVE HERALD OF GEORGIA, 2.5.4.97=NTRGE-203862622, o=•••••• •••••••• •••••••• •••••• - •••••••••• •••••••••••• ••••••, c=GE
Date: 2018.09.26 16:21:11 +03'00'